



აშა

მადსა უაღრეს ბანიგვანებს შორ. მერმონებროშვილონ უიროშო
შვილი ბამომონება. იანიე სპილიალ ვაით ზუით ნაზარლო. ჩვეთვი
ღაუნიღყარო-სკვებინ მთარ-ნი ღანიღყებულო შვილი ბამომონება
ბელღათუთჯული მამა შანი.

„დ ა მ კ მ რ ე ლ ი“

კალისტრატეს შრომის გვირგვინი არააოდეს არ მიუღია და, რაც მართალია, ასეთის მიღებაზე პრეტენზიას არააოდეს არ განუცხადებია, თუმცა ქარხანაში მუშაობს უკვე რაოდენიმე წელია.

ერთადერთი ნაკლი, რაც კალისტრატეს ახასიათებს, როგორც მომუშავეს, ეს არის დაგვიანება. მოკალით და კალისტრატეს ადრე ნუ აყენებთ! ხოლო თუ ადრე ადგა, მიეცათ ნება ჩაის შემდეგ ქუჩაში გაისეირნოს, ჰაერი გადაჰყალოს, ლაპარაკით იჯეროს გული და შემდეგ გამოცხადდეს ქარხანაში.

ვინ მოსთვლის, რამდენჯერ მიიღო შენიშვნა დაგვიანების გამო, მაგრამ ბოლოს და ბოლოს რას წარმოადგენს შენიშვნა, რომ მას ვერ გაუძლოს კაცმა. ეს კი არა, ავტომობილით მტკვარში ვარდებიან ვერის ხილიდან და იქიდანაც ცოცხალი ამოდიან, თორემ შენიშვნების და საყვედურების ტალღას როგორ ვერ გაუძლებს კაცი.

— ქალი მყავს ავთო, — იტყვის ხოლმე კალისტრატე თავის გასამართლებლად. და ეს ქალის ავადმყოფობა მას მთელი კვირა ყოფნის.

— კაცო, ბავშმა ფეხი იტკინა, — ამბობს იგი მეორე კვირაში.


— დღეს სიღებრი ჩამოვიდა სოფლიდან და იმან დამავცინა!

— დღეს სიმამრი გავამგზავრე სოფელში, თორემ ადრე მინდოდა მოსვლა!

— წუხელ ჩემი ცოლის სახლის დღეობა იყო და გვიან დავიძინეთ, ხომ იცით, სტუმრები... ძველი ყოფაცხოვრების ნაშთები...

— ამ დილით ჩვენი ტრამვაის ვაგონს ღერძი მოსძვრა და მთელი საათი გზაში ვიყავი...

„შ ე ი გ ნ ო“



შოს. ვაჭარი — კოსოვ. ნოსარი: — აი, ეხლა ვი მივხდი და შევიგნე, რომ ხსნა მხოლოდ კოოპერაციაშია.

— დღეს ერთი ჩემი ძეგობარი დააჯარიმეს ქუჩაში და ჯიბეში ფული არ დაურჩა. ორი საათი ვიტრიალე ფულის საშოვნელად!

— ამ დილით ჩემი ცოლის ძმა დაიჭირა მილიციელმა ქუჩაში წესრიგის დარღვევისათვის და მოწმეთ წამიყვანეს...

ხან სრულებით არ მიდის კალისტრატე სამუშაოდ.

— გუშინ და გუშინწინ ველარ მოვედი... რაღაც კუჭი არმაქვს რიგზე და საფალარათო დაველიე, — იმართლებს იგი თავს.

— მაგას რომ ბაბუა არ ყავდეს, აქამდე ვინ გააჩერებდა, ხშირად იტყვიან ხოლმე წარმოებაში.

აშკარა ცილისწამებაა. კალისტრატე პატარა იყო (23 წლის) მაშინ, როცა ბაბუა მოუკვდა და დასაფლავებაზედაც დაავიანა, რადგანაც რიკ-ტაფელას თამაშობდა მეზობლის ბიჭებთან. არა, მას არავითარი ბაბუა, არ ყავს წარმოებაში, ოღონდ ერთია, რომ ქარხნის დირექტორის მოადგილე მისი მამიდას სიძის ძმა და ქარხნის ტექნიკური მდივანი — ცოლის მიძაველი. ზოგი იმასაც ამბობს, რომ მეტაბელე კალისტრატეს ნათლიმამათ მოხვდებოდა, მაგრამ მე მგონია ეს ტყუილია, რადგანაც მეტაბელემ ამას წინაღულობით უჯრედში შეიტანა განცხადება, მისი მიღების შესახებ. ხოლო ეს ყველა იცის, რომ ურწმუნო კაცი არ შეიძლება ნათლია იყოს.

რაც არ უნდა ყოფილიყო, კალისტრატეს დაითხოვედნ, რომ დამკვერელობა არ გამოცხადებულყო. მხოლოდ დამკვერელობამ იხსნა კალისტრატე, თუმცა, დროებით... მაგრამ ამაზე ქვევით.

დამკვერელობა რომ გამოცხადდა, კალისტრატეს უკანასკნელი გაფრთხილება ქონდა მიცემული და იგი უკვე ამზადებდა ნიადაგს შრომის ბიურჯაში ჩასაწერად.

— მოდი ერთი ვცადო, როგორია ეს დამკვერელობა, ამბობენ, დამკვერელებს განსაკუთრებული პატივით ეპყრობიან. — გაიფიქრა კალისტრატემ და თავი დამკვერელად გამოაცხადა.

ამხანაგებს სასაცილოდ არ ეყოთ ეს ამბავი და მას დამკვერელთა რიგებში არც მიიღებდნენ, მაგრამ ქარხნის ტექნიკური მდივნის მიერ შედგენილ დამკვერელთა სიაში სრულიად გარკვევით იყო აღნიშნული კალისტრატე გვიანადის სახელი და გვარი.

— ჯანაზას შენი თავი, იქნებ გამოგასწოროს ამ დამკვერელობამ, — უთხრეს მას.

— კი, კი, მაცალეთ ცოტა! მე ის მიშლიდა ხელს, რომ დამკვერელი არ ვიყავი, თორემ ჩემისთანა დისციპლინის აქ არც მეფულება, — რიხიანად განაცხადა კალისტრატემ.

დამკვერელობის გამოცხადებიდან, ორი დღე მაინც დაავიანა კალისტრატემ, ხოლო შემდეგ კი... სრულებით არ გამოცხადებულა სამი დღე.

— სად იყავით ამხანაგო, — შუბლშეკმუხვით კითხეს მას დამკვერელებმა.

— სად უნდა ვყოფილიყავ, თქვენ ხომ იცით, რომ ახლა მე დამკვერელი ვარ... სამი დღეა ვეძებ ლიტერატურას დამკვერელობის შესახებ, მაგრამ ვერ ვიშოვე. მინდოდა გაეთვითცნობიერებულიყავი, როგორც დამკვერელი და დაკვრითი წესით შეედგომოდი მუშაობას... დამკვერელობა ხუმრობა ხომ არ არის, დამკვერელი კაცი აღჭურვილი უნდა იყოს სათანადო ტექნიკა...

დამთავრება ველარ მოასწრო კალისტრატემ: მას ისე მაკრათ ამოჭკრეს პანტლონი, რომ კალისტრატემ თავი გაჭკრა კარებს და ქუჩაში ტელეგრაფის ბოძს ჰკრა ცხვირი. ამის შემდეგ იგი დაუგვიანებლად იხადებდა შრომის ბარჯაში.



თეთრი ლუქანი



გინახავთ თუ არა თქვენ თეთრ ლუქანში „პირის გემო“?

არა?!

დიდი რამ დაკლებათ!

მე მინახავს მისი „პირის გემო“ და დიდხანსაც არ დამავიწყდება ის!

დიდი ხელმომჭირნობით შევავარობდი ხოლმე რამდენიმე გროშებს, ან რომელიმე მეგობრის ჯიბეში შევამჩნევდი მის არსებობას და ტკბილი ჭუჭუნით გამოვდებდი მკლავში ხელს და გავიტყუილებდი ქალაქ გარეთ „თეთრი ლუქანისკენ“.

უნდა გენახათ, როგორ ციბრუტივით დატრიალდებოდნენ სუფრის გარშემო მარლი ბიჭები და მადის ამძვრელი მარლითაით მოჭიქნდათ მწვანელი, შემწვარი სულგუნის ცხელი ჭადები, შამფურზე შუშუნით მწვადი, ჩაციებული ღვინო და ლაღის წყალი!

ყოველივე ეს გავიწყებდა კაცს, რომ მას მოჰყვებოდა ისეთი ანგარიში, რომლის შედეგი იქნებოდა ჯიბის სრულიად დაცარიელება.

კარგი ხანი გავიდა მას შემდეგ, რაც აღარ გყოფილვარ თეთრ ლუქანში, — თუმცა არც წინეთ ვიყავი მისი ხშირი სტუმარი. — მარა იქაური გემო ისე კარვით მახსოვდა, თითქოს ერთი კვირის წინეთ მესაუზნოს იქ.

ამიტომ, როდესაც ამ დღეებში, ერთმა პოვლინებაში ჩამოსულმა ამხანაგმა მთხოვა გემოიანი საუხმე მეჭმევია მისთვის, — და ისიც მის ხარჯზე, — მე იმ წუთშივე „თეთრი ლუქანი“ მომივიდა აზრათ თავში.

თან გაზაფხულის თბილი დარი იღვა და აღმდინან ქალაქიდან ისედაც იზიდავდა თავისკენ ამწვანებული მინდორ-ველი, ამიტომ სიმორეს აღარ მოვერიდე, — მით უმეტეს, რომ ამხანაგმა არ დაიშურა მივლინების თანხით ავტომობილის დაქირავება.

ნახვეარ საათში უკვე თეთრ ლუქანთან ვიყავით, — სრული ასი პროცენტით ჭამის მადა გაღვივებული.

გაჩერდა თუ არა მანქანა, გადმოვხტით და იმავე წუთში მივაშურეთ ლუქანის კარებს. მაგრამ რაღვაწი წინა კარები დაკეტილი დაგვხვდა, იძულებული გავხდით გვერდის კარებისკენ გავშურებულყავით საქონლის სადგომ ნებვიანი ეზოთი.

ლუქანში სამი ადგილობრივი გლეხები შემოსდომოდნენ მაგიდას, რომელზედაც ერთი დაცარიელებული ღვინის ჩარქვი ედგათ. თავიანთ გაერთიანებულ თანხებს სთვლიდნენ, — ეყოფოდათ თუ არა მეორე ჩარქვისათვის.

დახლში ერთი ხნიერი და სამი ახალგაზრდა კაცი იჯდა; რაღაცას მუსაიფობდნენ.

ჩვენი მისვლა მათ თითქოს არც კი შეუმჩნევიათ, — მიუხედავად იმისა, რომ მხიარული ხმაურობით შევედით ლუქანში და მიუჯექით მაგიდას.

— აბა, გეთაყვათ, ერთი თქვენებურათ გემოიანათ გვასაუხმეთ! — მხიარული ღიმილით მივმართე მე დახლში მჯდომთ და თან თვალის გადაკვრით ვანიშნე, რომ ჩემი თანამგზავრი უცხო კაცი იყო და შესაფერათ მოპყრობოდნენ. მარა თვალის გადაკვრას კი არა — თავის გადაქნევასაც ვერ ამჩნევდნენ დახლში მჯდომი მოზაასეები.

ვიგრძენი რა უხერხულობა ჩემი თანამგზავრის წინაშე, რომელსაც გზაში უკვე გავაცანი „თეთრი ლუქანის“ ყოფა-ცხოვრება, ავღექე და მე თითონ მივედი დახლთან, — რაღვან ისინი არ აპირებდნენ ჩვენ მაგიდასთან მოსვლას, — და განუშეორე ჩემი მოთხოვნილება საუხმის შესახებ.

როგორც ცერცვი კედელს, ისე ჩემი ლაპარაკი მათ არ ეკარებოდათ!

ბოლოს ერთმა მათგანმა ახეღ-დამხედა და ცალკვად მომიგო:

— მოხარშული ცხვრის ხორცის მეტი არაფერი არ გვაქვს.

— რატომ?!

— რატომ და მიტომ! — მკვახეთ მომიგო ნოქარმა და მიიბრუნა პირი მომუსაიფეებისკენ.

ასეთმა საქციელმა მომაგონა ჩემ მიერ ამას წინათ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოწვეული მუშაოების თანამშრომლები და უეცრათ ერთმა აზრმა გამიელვა თავში.

— თუ კაცი ხართ, მითხარით, — ვისია ეხლა ეს ლუქანი?

— ვისი იქნება! — კოპერატივის!

ყველაფერი ცხადი შეიქნა..

მოხარშული ცხვრის ცივი ხორცი და გაყიფსებული პურის ლუქმა გაეჩხირებოდა კისერში, რომ შოლავერის წყალნარევი ღვინო არ მიშვილებოდა. **ს. თ — ია.**

ბრძოლა პასპასტოვების წინააღმდეგ



ვირეზის არითმეტიკა



— არის გათხარეს, ალაზანი იქით გადაიყვანეს... ჩვენმა სოფელმაც იქით გაიწია, გზა გაგვიგრძელდა!

სურათი წარსულიდან

თმშულმა ბატანჯე

ვენახე ქუჩაში ჯოგათ ბატკანი,
რომ გამოიბოლა ერთი მათგანი.
ალბათ, თუ დანა წამოიჩვენა
ისე, ვით ითხოვს მას ქრისტეს რწმენა
და საიდგომო დღის ტრადიცია.
გამოედევნა მას მილიცია,
პატრონი, მღვდელი, ერთიც ყახაბი,
მოსდევდა ქალიც, თავშლით და კაბით,
ალბათ, პატრონის თუ იყო ცოლი.
ბატკანი თეთრი, როგორც რომ ბროლი,
ფანტელი თოვლის, გინდ ბამბის ქულა,
სოჭქრის და აგერ გაიშხულია:
გაუძვრა ყახაბს ზე კაკალ ლაჯში,
ხელის წავლება რომ სურდა კანკში;
მილიციელი წინ შეეფეთა;
ის მილიციელს ისე ეკვეთა,
როგორც ბანდიტი, ხელში დანითა:
დადუნა თავი, განხლტა განითა,
და ეს ყახაბი, წითელის კანტით,
თითქოს მოხსლიტა გაქნეულ ცანდით.
ისე გაშხლართა, ზხრათ ქუჩაზე!
— ხა-ხა-ხა-ხა!... ახია მაზე!
არა, ვინ სჯიდა, რომ დაედევნა?
მისი საქმეა ქუჩებში სტვენა

ბოროტ მოვლენის ყოველს ბრძოლა,
თორემ ბატკანი, ეს კვერცხის ტოლა,
რა შეხაპრობი ან საძლევი?
ეტყობა, საქმე შემოლევი!
მილიციელის თავზე ზარია!
მე კი ვიცინი და მიხარია...
და არა მართო მე, მთელი ქუჩა,
რომ აღძრა პირი, არ დააუტრა
ხა-ხა-ხა-ხა!... ახია მაზე!
პატრონმაც ფეხი წამოშკრა ქვაზე,
როდესაც კრავის ხელთგდება სურდა;
ფეხი მის ცოლსაც კი გაუტურდა
და თავშლის კუდით ქუჩა წახვეტა...
ბატკანს წინ მღვდელი დუესო სვეტად
და ანაფორაც ფარდათ გაშალა...
მაგრამ ბატკანმაც რომ არ აცალა!
შკრა თავი ფარდას და გაიტანა...
და დაუჩლუნგდა ხუცესსაც დანა!..
კრავი კი გარბის!.. იქით-აქეთა
გამვლელთა წყება წინ შეეფეთა...
და ბოლოს... ბოლოს, რომ დიდალა,
წახლა მუხტლებში სირბილის ძალა,
წინ გადაუდგა გამვლელთაგანი,
შეიპყრეს, შეიპყრეს იგი ბატკანი!..

პესიმისტი

(ლიტმარტორის დღიურიდან)

მოქალაქენო: თუ დამიჯერებთ,
ახე ცხოვრება მოსაწყენია:
ვის გაუგია ავანსისათვის
ელრიჯებოდეს გამგეს გენია?!

*
ამაო არის წუთისოფელი,
წარმოიდგინეთ ეს ტრაგედია:
ქალი ვერ აქო ასეთი სიტყვით:
„ის სათაყვანო თეთრი გედია“.

*
ჩვენი ცხოვრება რას გავს ძამია,
წახდა კაცობა, მეობა წახდა:
კაცს ვერც პასკეპი შეგეჩამია,
ვერც სალოცავად წასულხარ საყდარს.

*
როგორ არ გრძნობდეს კოსმიურ სევდას,
კაცს დედამიწა დაგიძლევი,
და ნება არ გაქვს მიბერტყო ვინმე,
ვერც „ძმაბიჭურად“ ჩაგიღვევი.

*
ფახი არა მაქვს ამ წყეულ დროში
მე, გენიოსს და ცხოვრების გაროს...
ეს, წავალ ძამო, ან თავს მოვიკლავ,
ან-და ავანსებს დავტყუებ ბარონს.

*
ქალს მინდა უთხრა: გეგზარ ფერიას,
და მას კი თურმე თმა არ ჰქონია,
თმა შეკრეჭილი, თქვენ სტკვით, ფერია
რომელ ზღაპარში გაგიფონიათ?
მეპაროშკა.



ალარ ასცდება, ალბათ, მას დანა!..
ტყავი, ხორცი თუ სხვა ამისთანა
ბატკნის თუ ცხვარის განწირულია!
ის რომ რზის, მაშინც დაჭირულია!..
მსხვერპლია ხალხის უღონო კრავი!..
ისიც კი, ვისაც მოჰქონდა თავი
მონარჩლედ ბატკნის შვევის ქუჩაში
და მოწონებას იჩენდა ხმაში,
კრავი რომ მდევნელით გაუსხლტებოდა,
ვინც რომ სიცილით ლამის კვებოდა,
არ დაზოგავდა თვით ისიც ბატკანს,
ხელთ ჩავარდნოდა თუ ვინმე მათგანს!
მხოლოდ მე ერთი ვიდექი განზე,
განსხვავებული აზრით ბატკანზე!..
და თქვენ გგონიათ, ვით დასაკლავი,
მენანებოდა მე იგი კრავი?
კრავს და უგნებელს ვინ შეიბრალებს?
მას ყველა ანთებს დასისხლოლ თვალებს
და გამოადარვა მისი ყეობისა
ლხინად მიუჩანს ბოროტ ხელისა!..
მხოლოდ მე კრავი მიჩანდა გმირად!
როს მილიციელს იქ, ქუჩის პირად
მტვერში გაშხლართულს მოვიგონებდი,
მე ბატკნის სარმას მოვიწონებდი...
მას იწონებდა ჩემთან მთლად ქუჩა!
რომ ბატკნის პოქოკს ვერ გადაურჩა
ის, ვინც რისხვით თუ სამხედრო ძლევით,
მეწოვებოდა სტვენით და წვევით,
ცნობილი არის! შუარს მისგან ქუჩა!
ის ბატკნის ხუსტ ტლინეს ვერ გადაურჩა!
ვერ ასახელა მან მილიცია
და მოსქდა ძირში, ვით ტრადიცია
ამ საიდგომო ბატკნის თუ პასკის!
აზრი მოითხოვს ჯანსაღი კაცის,
რომ ხუსტ კრავს ის თვით შეელოდეს
უნდა!..
აქ კი... აქ ის დღეს ვით დაძაბუნდა,
რომ იქცა ქუჩის მტვერად და ფერფლად,
რომ ტრადიციას თვით მოჰყვა მსხვერ-
პლად,
თავ-წანაგებად და შენაწირად?!..
დაიხ, ბატკანიც ჩნდა მასთან გმირად!..
შეპირაბ.

●●● ხ ო ხ ო კ ი კ ი ლ ა კ ე ●●●

რა უცნაური სახელია ხოხო.
კიკილაძეც შეიძლება არავის თქვე-
ნგანს არ გაეგონოს.

მე კი ასეთ პიროვნებას კარგათ
ვიცნობ. მინდა თქვენც იცნობდეთ
მას. სწორეთ რომ იშვიათი პიროვნე-
ბაა. კვაჭი კვაჭანტირაძე მასთან შე-
დარებით „ხოლია“ და მეტი არა-
ფერი.

ლევარსი როხროხაძე მიქარვაა. ზუ-
რგიელიძე — ლანდია.

თქვენ გიკვირთ. მერე რა? განა
ჩვენს დროში ცოტაა საკვირველი ამ-
ბები?

კვაჭობას დღითი-დღე წიადაგი ეც-
ლება. კვაჭები გადაშენების გზას აღ-
ვიან. კვაჭისებურ ავანტიურისტებს
ჩვენი პოლიტსამმართველო ანადგუ-
რებს. როხროხაძეებზე ლაპარაკი
ზედმეტია. ლევარსის ტყუილებს
„მოკლე ფეხები“ აქვს.

ზურგიელიძე რომ ცოცხალი იყოს,
ვიდევ ჰო, შეიძლება კიკილაძისთვის
მეტოქეობა გაეწია. თუმცა საჭირო
იქნებოდა მისთვის „კბილების ჩადგ-
მა“ და შტეინახი.

სულ სხვა ვინმეა ხოხო კიკილაძე.
თქვენ მას ვერ იცნობთ, ის კი ყვე-
ლას კარგათ ვიცნობთ. პირველ შე-
ხედვით, ჩვეულებრივი მომაკვდავი
ადამიანი გეგონებათ. ნამდვილად კი
იშვიათი ეკსტრემალიზარია. ადამიანთა
მუხეუმისათვის (აღბად ასეთი მუხე-
უმი მომავალში უნდა დარჩეს) ძვირ-
ფასი განძი იქნება.



მოითმინეთ. თქვენ ეხლავე გინდათ
გაიცნოთ ის?

ცნობის მოყვარეობა ნუ დაგძ-
ღვით!

ხოხო კიკილაძის ზერელეთ გაცნო-
ბა არ კმარა. საჭიროა მისი ბუნების
დაკვირვებით შესწავლა. ამისათვის
დროა საჭირო, შეიძლება კვირეებიც
დაგვჭირდეს, თუ თვეები არა.

მე მას „ფეხდაფეხ“ დავსდევდი:
ყოველ მის მოქმედებას და საქმიანო-
ბას ვაკვირდებოდი: და აი დღეს მას
ჩემსავით არავინ იცნობს....

მთავარი, რაც უნდა იცოდეთ მის
შესახებ, არის ის, რომ კიკილაძეში



— იძულებითი სამუშაო მომიხა-
ჯებს. ტრესტშიაც თუ რამეს ვმუშა-
ობდი, იძულებით იყო, თორემ არა-
ვითარი ხალისი არ მქონებია, ისე მე-
ზარებოდა მუშაობა!

თავმოყრილია ადამიანთა ყველა უა-
რყოფითი თვისებები.

მასში თქვენ ნახავთ კვაჭს, როხ-
როხაძეს და ზურგიელიძესაც. ამი-
ტომ ცხადია, კიკილაძე ამ პატივცე-
მულ პირებზე მაღლა სდგას.

თქვენ კვლავ გიკვირთ. შეიძლება
მკითხვით კიდევ: რატომ ის არ ზის
„იზოლიატორში“?

საქმეც ამაშია. მისი ჰენიოსობაც
ამაში მდგომარეობს. ის არა თუ
„იზოლიატორში“ ზის, საბჭოთა ერთ
ერთ დაწესებულებაში არის მოკლა-
თებული.

— როგორ თუ ასეთი „მანენელი“
არის ჩვენს საბჭოთა აპარატში?—ალ-
შფოთებული მეკითხებით.

მოითმინეთ, დამშვიდდით.

ხოხო კიკილაძემ იცის თავის საქ-
მე. მასზე დაკისრებულ მოვალეობას
ზედმიწევნით „ფრთხილათ“ და „მუ-
ყაითათ“ ასრულებს.

აჰა, ეხლა რას იტყვით?..
გაჩუქდით ხომ?...

მოითმინეთ, ჯერ კარგათ გაეცა-
ნით მას და შემდეგ „იყოს ნება თქვე-
ნი“...

შეგიძლიათ უმაღლესი სასჯელი
მიუსაჯოთ მას.

მაშ, ასე ამიერიდან თქვენ უნდა
გაეცნოთ ჩვენ დროის იშვიათ პირო-
ვნებას ხოხო კიკილაძეს.

მე კი, თანახმად თქვენი სურვილი-
სა, ვკისრულობ თქვენთვის მის გაც-
ნობას.

ყუმბარა.

■ ■ ■ კ ა მ ე ლ ე ტ ნ ი ■ ■ ■

ქამელეონი ეს ისეთი ცხოველია, რომელიც ადგილის
დამიხედვით ფერს იცვლის. ჩვენს დროში ქამელეონები
უკვე არ არსებობენ, ისინი ამოწყდნენ, მაგრამ ამავე დროს
თავიანთი თვისება ზოგიერთ ადამიანებს გადასცეს. ასეთი
ადამიანები ეხლაც მოიპოვებიან სხვადასხვა დაწესებუ-
ლებებში. გარეგნულად ისინი ერთგულ და მუყაით მშრო-
მელებს გვანან, მაგრამ გულში კი ძველი ქვეყნის საძაგე-
ლი ნაშთებია.

ერთი ასეთი ქამელეონთაგანი არხენად ზის აღმას-
ჯომის კომუნალურ სახლების სამართველოში.

ამის შესახებ აღმასკომმა აღბად ჯერ არაფერი იცის,
ამ ქამელეონის გარეგნული ნიშნები ასეთია: არის ახოვა-
ნი, ჩასუქებული, მხარ-ბეჭა და დაჟო თვალებით. თუმცა-
და დავალებები დიდი აქვს, მაგრამ ყველაფერი ფეხებზე
შკიდია. თავის ადგილზე ვერასოდეს ნახავთ, მუდამ
პორთფელით დადის. ბიუროკრატობით და ჩხავილ-ყვი-
რილით განთქმულია, ერთ უბრალო საქმეს მთელი წლო-
ბით აკიანურებს.

არ უყვარს პასუხის გაცემა და მიზოენელებს აქეთ-
იქით აგზავნის. ფრიად სერიოზული ვაცია და მთელი
დღე იმდენად მუშაობს, რომ არაფერს აკეთებს.

ლაპარაკობენ, თითქოს ყოფილი მოიჯარადრე იყოს
სასახლის ქუჩის № 5-ში მდებარე სასტუმროსი.

კიდევ მეტსაც ლაპარაკობენ: თითქოს მას დამზღვევ
სალაროში გაფლანგვა მოეხდინოს და პასუხისგებაში ყო-
ფილიყოს მიცემული, თითქოს ცეკავშირშიაც გაეფლან-
გოს და სამხედრო ტრიბუნლზედაც ყოფილიყოს გადაცე-
მული, თითქოს რუსთაველის პროსპექტზე ქონოდეს 40
კვ. მეტრიანი ოთახი და 3.500 მანეთად გაეყიდოს; შემ-
დეგ ისევ აღმასკომიდან ემოვოს არა ნაკლები ოთახი.
თითქოს კომბინატორობით და ასეთებით განთქმული
იყოს და სხვისი ჭირ-ვარამი ფეხებზე ეკიდოს, თითქოს
ქრთამიც კი უყვარდეს და მრავალი ასეთები.

თუ მართლა ასეთი ვინმე მოიპოვება კომუნალურ სახ-
ლების სამართველოში, ვთხოვთ მისი ნამდვილი გვარი
აცნობოს ტარტაროზს.

ცოცხია მცოცხელაძე

„მუშაკორი“ მუშაკუდიანი

— დაიქცა ის ცხრა წელი, მე რომ გავათავებ. რაში გამომადგა, ძმობილო! მიიკრე შუბლზე „ატესტატი“ და იარე ქუჩა-ქუჩა!— მიამბო ჩემმა ნაცნობმა.

— სამსახურში არსად გამიკარეს: დიდი ადგილი როცა განთავისუფლდა, სპეცი უნდა იყო და მაშინ მიგიღებოთ, მითხრეს. ჩემი სპეცობა რაფერ შეიძლება ვინმემ დაიჯეროს: გუშინ გავიგე, რომ ლონდონი ინგლისის დედა-ქალაქი ყოფილა. მე კი ლონდონი სოფელი გოდოვანი მეგონა, ქუთაისის ახლოს რომ არის.

— პატარა ადგილზე მიმიღეთ. დაგჯერდები!— ვუთხარი ხლამტრესტის საქმეთა მმართველის მოადგილეს, რომლის კაბინეტში შესვლამდი ორ კვირას ვიდექი „ოჩერედში“.

— კავშირის წევრი ხართ?— შემეკითხა ის.
— არა.

— ვერ მიგიღებთ: ჯერ კავშირის წევრი უნდა გახდეთ— მითხრა მან.

— მიმიღეთ კავშირის წევრად!— შევეხვეწე ერთ-ერთ კავშირის რაიადგილკომის მდივანს— ნაცნობადს.

— ვერ მიგიღებთ: ჯერ სამსახური უნდა იშოვო!— „მირჩია“ მან.

— მიმიღეთ სამსახურში!— შევევედრე ყლუნწის დიკატის მდივანს.

— საქმეთა მმართველს მიმართე!— მიპასუხა მან.

ორი კვირის „ოჩერედის“ მერე, ვნახე საქართველიც.

კავშირის წევრი ხარ?

— არა.

— ვერ მიგიღებთ, ჯერ კავშირის წევრი უნდა გახდეთ!— „დამამზვიდა“ იმანაც.

ისევ ადგილკომს მივაშურე.

იგივე პასუხი მივიღე.

სამსახურში შესვლა თუ გსურს
უნდა იყო პროფკავშირში,
პროფკავშირში შესვლა თუ გსურს,
უნდა იყო სამსახურში.—

მომავლად უნებლიედ ეს სამელოვიარო „ჭინი“, რომელსაც არა კავშირის წევრი უმღმევერები სტირ... უკაცრავად, მდგრიან... რას გავაწყობდი?!

— ყლაპტრესტის დირექტორი ნახე. წარმოება ფართოდება: მიგიღებს!— მითხრა ერთმა ნაცნობმა.

მაშინვე ყლაპტრესტის დირექტორის კაბინეტთან გაეჩნდი.

დღეს დირექტორი მნახველბს არ ღებულბს
დამიხვდა კარებთან გაკრული განცხადება. გამოვბრუნდი.

მეორე დღეს იგივე განცხადება დამხვდა.

სამი დღის შემდეგ მივედი, სამშაბათ დილას.

დირექტორის ნახვა შეიძლება ორშაბათობით და პარასკეობით.

დამიხვდა ახალი წარწერა.

დღეს დირექტორი არავის ღებულბს.

დამიხვდა ისევ ახალი წარწერა, როცა პარასკევს დილით ყლაპტრესტის დირექტორის კაბინეტთან გამოვცხადდი.

— გამიშვით!— რიხიანათ მიემართე კარებთან მდგომ შიკრიკს. სწორეთ ამ დროს დირექტორმა კარი გააღო და კაბინეტიდან გამოსვლა დააპირა.

— ვინა ხართ თქვენ?— შემეკითხა ჩემი მიმართვის რიხიანი კილოთი „გაფუტებული“ შიკრიკი.

— მუშკ..

— მობრძანდით! მობრძანდით!— გამაწყვეტინა ხმა დირექტორმა და გაბრაზებულმა შიკრიკს შეუყვირა:

— რამდენჯერ გავაფრთხილე, რომ არ შეიძლება ყველა მოქალაქეს ერთგვარად მოპყრობა. რამდენჯერ გითხარი, რომ მთხოვნელის მოსვლისთანავე გაიგე ვინაობა. ისწავლე როცა საქიროა თავაზიანობა. უკანასკნელად გაფრთხილებ...
— მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით!— უჩვეულო თავაზიანობით მომმართა ისევ დირექტორმა.

— ეგ არ ვარგა. რბილს სავარძელზე დაბრძანდით. აგერ, ჩემს გვერდით!— იაღონივით მომიმღერა როცა ვენის სკამი გამოვწიე. მეტ „ხათრი აღარ გავუტეხე“,— ჩავჯექი; პირდაპირ გამაბრუა მისმა თავაზიანობამ.

— ავშენდი კაკალი კაცი. ნამდვილად გავკეთდი. სამსახური უკვე „აბეზუნი“ საქმეა!— გაიბიძგი.

— პაპიროსს არ ეწევით? მე გაეჩუმდი.

— ინებეთ! სოხუმის თამბაქოა. მექანიკურად გამოვართვი და პირის ნაცვლად ცხვირის ნუსტოსკენ გავქანე.

— მზად ვარ გემსახუროთ— სთქვა დირექტორმა, და თან ჩემ პაპიროსს ცეცხლი მოუკიდა.

— ყლაპტრესტი სწრაფად ფართოდება... ჩემი დანიშვნის შემდეგ ძირითადი გარდატეხა მოხდა მის მუშაობაში. ერთი სიტყვით სწრაფად ვაფართოვებთ წარმოებას... მუშა-მოსამსახურეების მდგომარეობაც გავაუმჯობესეთ... თვითღირებულება დავსწიეთ... პროდუქცია ასი პროცენტით გაიზარდა. სოციალისტურ შეჯიბრებაში ყველანი ჩავებით... ყოველ დარგში გავქს... მაგრამ მითხარით, ამხანაგო, თქვენ რა უფრო გაინტერესებთ.

— მე, ბევრი არაფერი, ერთი ხუთ თუმნიანი ადგილი მომიცით რეგისტრატორის... ავშენდები კაცი.

— რაო? ადგილიო?! თქვენ ხო მუშკორი ხართ?..

— არა.


— მაშ მომატყუე?! აკი მითხარი მუშკორი ვარო?! ეტო პოდლო!

— არა, მე ჩემი გვარი გითხარით, მუშკუდიანი.

— ადგილი არ არის. საქმეები მაქვს. მიბრძანდით!— მომაყვირა გაბრაზებულმა დირექტორმა და ბრაზიანი ძაღლის დაკბენილივით კაბინეტიდან გამოვარდა.


მედუზა.

მეოცნებე პლაგიატორი



— ამ ავტორს რომანის მე-5 თავის დასაწყისს „ავჭაფ“... იქიდან შეეჭხე თავს გადავიწერ... დიდებული თხზულება გამოვა! ორიგინალური..

გ ა უ ბ ე ბ რ ო ბ ა თ უ...



— აქ ძველ ტანსაცმელების ტრესტი ხომ არ არის, რომ მეძველეებს ამდენი ძველმანი გამოაქვთ?
— არა... რიხი ტრესტი... მუშაყვლების საერთო საცხოვრებელი!

გ. პ. 4

ს ა ჩ ხ მ რ ე

რესტორანი „ბახმარო“... კოლა, შენ რა? გავები? როგორ ავიცახცახდა, შე საბრალო, მკლავები? ტარტაროზის თვალეები ელვარე და სალია თანვე დააქვს მას თვისი ბასრი იარაღია. როს შენიშნავს, კოლაჯან, შენებრ მეგნე ბაცილებს, შურდულს სტყორცის, მერწმუნე, მიზანს არ დააცილებს.

შენ, რომ მიკიტანი ხარ, ცნობილი, გაქეილი, თუ გინდ სადისპუტოთა დაიხმარე ვეიქილი, ზაგრამ მე ის მავიფრებს, კავშირის თავმჯდომარემ ყველაფერი იცის და—მაინც „არის მღუმარე“.

შენი სახლიკაცია და იქნებ ესათრება!.. პო-და, მგონი, ცული რამ მასაც დაემართება. შაკო


რამე-რუმე ამაღლება (გურია)

დავიწყების ნიავს მიაქვს სამუშაო განაწესი. ხეჭიებს კი ისევ სძინავს— თვეა უკვე ორჯერ ექვსი კლუბი ერთობ მორთულია, გზა უტია დრამწრემ კინოს, სერგო „ძველი“ ხელმძღვანელი შურით შესცქერს გაშლილ ტილოს.

აქ გლვხკომი კვარტისტს ბიჭებს „ასუქებს“ და აბატივებს. ამ დღეებში მოელიან ღვინით სავსე გუმს და ტივებს. ვერ გავიგეთ კონოქრების მიღვომა და დანაკლისი, ბრეიტხელ წაუკითხავს გრიგოლს ჩვენთვის პარაკლისი. სამსონს, რაფოს არ ეძრახვის ერთობ ბრაქვა და ქაქანი კოლოქტივს და ცოლს დელეგატს, მათ ცალ-ცალკე უქნეს განი.

— „აფრიკელი ცემე“.

გასეირნება ტფილისში



განძეულობა“, რომლებიც „ნეტარ-სსენებულ ბედნიერების დროს“ ამშვენებდა მათ ბინის კედლებს.

ეს არის — მხატვრობა, ბურჟუაზიული მხატვრობა.

ეს ნახატები გამოაქვთ ბაზარში და ჰყიდიან.

ვინ ყიდულობს?

ყიდულობს, როგორც თვითონ გამოყიდველები ამბობენ, „დღევანდელი შეძლებული კლასი“, ე.ი. საბჭოთა მოქალაქე, უმეტესად მეშხანური წრე.

ყოველდღიურად ამ ნახატებს ათვალღიერებს რამდენიმე ათასეული კაცი. ამ ნახატებს უფრო მეტი ჰყავს მნახველები, ვიდრე რომელიმე სამხატვრო გამოფენას.

ჩვენ შევარჩიეთ ზომიერი ნახატები, რომლებიც აქვეა მოთავსებული.

არის ისეთი სურათებიც, რომელთა მოთავსება თავისი პორნოგრაფიული შინაარსითა და გარეგნობით, დაუშვებელია საბჭოთა პრესაში.

ვის რად უნდა ესენი:

1. ქალიშვილი და სიკვდილი, 2. ანტივერპენის ტაძარი, 3. ქრისტეს ჯვარცმა, 4. ქალი ზღვის პირას, 5. სალომეა, 6. „ცოდვებ მონანიებულნი“ მარიამ მაგდალენი (ქრისტის საყვარელი გარყვნილი დედაკაცი), 7. ლიგია და ურსი (რომის ტირანების ცხოვრებიდან), ჰარამხანის ქალები, მშვენიერთა ყელები და სხვა ასეთები.



არიან, რომლებსაც ატკობს ეს „მხატვრული შემოქმედების ესტეტიური პროდუქტები“.

ესენი მხოლოდ ამაში ნახულობენ ცხოვრების სიმაღალეს და შინაარს.

ეს ნახატები უქმნიან მათ წარსულ გარყვნილ ცხოვრების ილიუზიას, რომელსაც აკანკალულ ხელებით ეპოტინებიან პირზე ნერწყვითა და ბეცი თვალებით.

ძვირიც არ ღირს. ამიტომ ყოველდღიურად ბევრი საღდება.

„ამშვენებენ“ კეილებს და ოჯახის ყოველ წევრის აზროვნებაში შეაქვს თავის მანენ შინაარსი.

საკვირველი ის, არის, რომ ზოგიერთ ამ სურათებს საბჭოთა მთავლიტების ნებართვის ნომერი და ლიტოგრაფიის მისამართებიც აქვს.

ჩვენი ქვეყნის რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით, ჩვენში იქმნება ახალი ყოფა - ცხოვრება, რასაც დღეს უპარესად დიდი ყურადღება აქვს მიქცეული.

ხელოვნების ყოველი დარგი ამ ცხოვრების აგიტატორი უნდა იყოს.

როდესაც ჩვენ ვლაპარაკობთ ოპერას გარდაქმნაზე (ეს დიდი და მძიმე საქმეა), პარალელურად არ უნდა დავგავიწყდეს **წმკრლმანი**, როგორიც არის, დიას, **ბაზარი!**

ყოველდღე და განსაკუთრებით კვირაობით უამრავი ხალხი დადის ბაზარში, სადაც ხდება ყოველგვარ ნივთების ყიდვა - გაყიდვა.

ძველი ცხოვრების დარჩენილ ნაშთებს, ყოფილ ხალხს („კეთილშობილ საზოგადოებას“) ჯერ კიდევ აქვთ, შვიდღისათვის შემონახული

საქართველოს ურბი ქუთა

„წვრილმანი“

ქუთაისის პროლეტარული ოლქის აპიტ
პროკ. ანხ. ჯანაშვილისათვის



— ბიუჯეტში რომ არ ვართ შეტანილი, ისიც გვეყოფა; ორასი მანეთი მინც გაიმეტეთ ჩვენთვის, კრებული გვინდა გამოვსცეთ!
— რამდენიმე თვე კიდევ მოითმინეთ, ამხანაგებო, და... შემდეგ მოვილაპარაკოთ...

მარხანა „პროლეტარი“
ქუთაისის ქარხანა „პროლეტარი“ შვე დაფუძნებული, რადგან შვეთ იყო დაყენებული საქმე: არ ჩატარებულა სოც. შეჯიბრი, რასაც ადმინისტრაცია „საპატრონიზებული“ ხსნის.
ჩემოდნების ცეხში მუშაობას ხელმძღვანელობს „სპეცი“ გ. გარედიანი. ის ალბად, ცუდი ხარისხის პროდუქტების დამზადებაშია „დასპეცებული“. მისგან დამზადებული საქონელი ოხრად გდება ქარხანაში.
— კიდევ რომ მართქო, მადლობას არ გეტყვი!—აცხადებს მომხმარებელი. გარედის მას შემდეგ ყოველივე სიგლანე დაჩემა, რაც მან ითხოვა ხელფასის გადიდება (150 მ. აქვს) და ადმინისტრაციამ არ დააკმაყოფილა მისი თხოვნა. მისგან მიყენებული ხარალი საგრძნობა ქარხნისათვის, მაგრამ ადმინისტრაცია თვალებს იბრავებს.
ქარხანას ფაქტიურად არ გააჩნია საწარმოო გეგმა.
— სულ ერთია მინც ვერ შევასრულებდით და რა საქირაო!—აცხადებს ადმინისტრაცია.

ორმოში

ქეფენილზე ორმოში მოქალაქე ჩავარდა. ჩავარდა არც ისე უმტკიცებლო იყო, რასაც მოქალაქის აქნესა-წუხილი ამტკიცებდა.
— მიშველეთ, ამიყვანეთ!—მომართა მან.
— კი ამოვიყვან, მაგრამ ვაი თუ კიდევ შეგეშთხვეს მარცხი, მაშინ კი ასე იოლად ვერ გადარჩები!—ამიყვანე თუ იხამ სიკეთეს!
— გაჯავრებხს თავი დაანებე, თუ არ გინდა ისევ ორმოში დაგტოვო. ეგებ აღმასკომის ახელი გაქვს?

— ვინ სულელს ექნება აღმასკომის იმედი, მაგრამ თქვენ მგონი აღმასკომის თანამშრომელი უნდა იყოთ, რომ ასე აქინატრებთ საქმეს.
— ფიქრი ნუ გაქვს, მე რომ აღმასკომის თანამშრომელი ვყოფილიყავი, შენს კენესს ოთხი ყური ვერ შემახმენდი.

ბახჩო.

„ტექსტილტორგში“

ბულვართან „ტექსტილტორგში“ მოაქვთ ხანდახან ფართალი, გათენებამდი მოსულან ისობით კაცი და ქალი. უქმელი ხალხი აზმორებს, არის ჯიკავი, მიწოლა, აგერ ბებია წაიქცა, შეწუხდა ჭერივი ბიცოლა, „ცივი“ წყალსა აწოდებს, ბატარა ბიჭი ირისსა; „ამენდეს ჩვენი მუშტარი“ ორივე ერთად ყვირის. პირველ სათზე გადდეს „ტექსტილტორგის“ კარები: „ორერდს“ ვინდა აცალო, კარებს მიაწვენ ქალები; ისმის ყვირილი, კივილი, მოვის ტუფლი რჩება, ზოგს კოვთა, ბალიდან ხალხი გამოიბის, უნდა გაიგოს, რა მოხდა. აიგოს ხალხით სავაჭრო, ნოქრებს დაეხმათ დავთარი, ყვირიან: „უკან დაიწით, არ გაქვს ამდენი ფართალი“.

ლალო-ნალი.

შაქრების მოთქმა

ივანე

თავს ვკლოვობ, წვერი მოუშვი, წლისა მაქვს გაუბარხავი. სიმწრით ვიგონებ ძველ დროსა, რომ ვიყავ დაუთარხავი. ძველად მიყვარდა დუქანში „ჩოთქში“ გადასვლა მეტისა; დიბი ქე მქონდა მსუქნად და ცმაყოფილ ვიყავ ბედისა. ახლა დავდივართ იაქეთ, ჭიქით ვერა ვსვამ ღვინოსა. სხვა რომ ყანწით სვამს, ნერწყვს ვულაპავ. წვეთი მეც ჩამედინოსა. ჩემს ღვეში ბევრი სხვაც არის, ბირჟაზე ნახავ ბლომად; სახლი აქციეს ლომბარდათ. დროს უცდის დასაღობდა, ახლა არ ვიციტ როგორ ვქნათ, საით წავიდეთ ნეტავი; ხელში მოვმართეთ ბოქლომი, სავაჭროს დასაკეტავი. დრო ვარბის ხედავთ ქარჩით და ჩვენ მიყვებთ თიგებით; ჩვენს მოხასპობათ დაარსდა კომუნა კოლექტივები... ტირილის ხმაზე შევცვალეთ არღანზე ჩვენ მოტივები.

დათული.

ტარტაროზ, თითონ ივანემ ხალხის გაცნობა ინება; არვინ იფიქროს, რომ მისი მინდოდეს ლანძღვა - გინება. ქუთაისშია ის ესლა დიდი ბანკისა მშობრეული; არავინ იცის ვინ არის რუსი, ფრანგი, თუ ქართველი. მენშევიკების მინისტრებს ხელზე კოცნიდა ყველასა, (ესლაც კი ბედავს ზოგების, მოხერხებულათ წველასა). ზოგს პურმარილის წყალობით ვადმოუბრუნა თვალია. ბევრსაც შეასვა ივანემ მღვდლების ნაკურთხი წყალია. ძალიან უყვარს საყდარი, სარწმუნოების შვილია; სამოც წელს მალე მიადწევს, არავის ეგონოს ჩვილია. კავშირს მიაართვა მან არზა, სწერს:—რად მიყურებთ ძვირადო? ნუ თუ არა ვარ მე ღირსი, რომ გავხდე შრომის გმირადო? იქიდან უარი მიიღო, ვაკვირდა ბანკის მშობრეული; ვეღარ უშველა მას ღმერთმა, წახდა მორწმუნე ქართველი.

მხელდელი.

ისის ნომრის ღარჩენილი მასალა

ქუთაისის ამბები

მაურნალოვის ახალი სისტემა.

ქუთაისის საავადმყოფოს ექიმ-მა კოკოჩაშვილმა გამოიგონა მაურნალოვის ახალი სისტემა, რომლითაც ავადმყოფის მაურნალობა ხდება ცემა-ტყეპითა და მუშტების დაშენით. პირველი ცდა მოახდინა ძაფსაღებ ქარხნის მუშა იობიძეზე.

ლ-გა.

„ნაჩაი“

ქუთაისის მეაბანოეებმა აბანოებში გამოაკრეს განცხადება, რომ — აბანოს მოსამსახურეებს არავინ მისცეს „ნაჩაი“.

— არა, ბატონო, „ნაჩაი“ რაღაც შეიძლება! ჩვენ ჩაის არ ვსვამთ; „ნა-ლინო“-ს ვღებულობთ მხოლოდ. ვინც არ მოგვცემს „ნალინო“-ს, ისე პუტყიანი წავა, რაგარიც მოვიდა. ასე, ბატონო, აბანოში ჯიბიან-ტანინათ ვსწმენდავთ მოქალაქეს.

სამშაბათა.

გიორგაძე — მკლავაძე

ჩვენი ქარხნის მკლავაძე ვალო-დია გიორგაძე, თუ არ გინდა ცხვირში ძმარი, გადაუღდე უნდა განზე, მოკრივე და მოჩხუბარი, სხვა მის მსგავსი არვინა გეყავს. ილანძღება, იგინება და ყოველდღე მუშებს ლახავს. მუშკორებსაც ალთქმა მისცა (კვლ-გაზეთში ის ჩასწერეს), რომ, თუ ხადმე დაინახავს, გამოფატრავს დანით წელეებს. ქარხნოში კი ყურს არ იბერტყს, მღშები ვართ განსაცდელში, მოგვებმარე ტარტაროზო, ამოჰკარი შენი ეშვი.

დაკა.

საგადასწავრო საგაუთხელი

ავადმყოფმა ნერვებაძემ ტელეფონით გამოიძახა „სასწრაფო დახმარება“. ტელეფონის ცენტ. სადგურმა მას ნერვები აუშალა და კაცი ქუთიდან შეიშალა.

გამოძახების შემდეგ მესამე დღეს, როცა „სასწრაფო“ (ჰმ!) დახმარება მოვიდა, ავადმყოფი ნერვებაძე საავადმყოფოში წაიყვანეს.


სავადმყოფოში იმდენი სცემეს ნერვებაძეს (იხ. ექიმ კოკოჩაშვილის სისტემა), რომ ორივე გვერდი ჩაუ-მტვრიეს და სამკურნალოდ სახლში გააბრუნეს ურძით.

და, მართლაც, სახლში რამდენიმე დღის შემდეგ ნერვებაძემ მორჩა. ესლა თავს კარგად გრძობს, ხოლო ვერ გააგონებთ ტელეფონის, სასწრაფო დახმარების და საავადმყოფოს სახელს.

„ლ-გ“.

ქუთაისელი ჰამლეტები

ანუ წითელ სასადილოს გახსნის საკითხი მუშა. გაგზ. სხლ-მაწე



გახვანათ, არ გახვანათ, — საკითხავი აი ეს არის.

თავიშული (საკრედიტო ამხ.-ბა)

ჩვენს დაწესებულებაში ბევრი არის ღიბიანი და ყოფილი ბატონები: კაპიტანი ყიფიანი, პოლკოვნიკი ხურციკიძე, ბრაიავაკა, — დიდი გრაფი, მოშიაშვილი — ვაჭარი (ვინც ადინა მუშტრებს ქაფი). ბაკურაძე — კულაკი და აბაზაძე — გამფლანგველი, მანუშოვი — ბირჟის კაცი, დოლარების მქაფავ — მგველი. ბაქრაძეა — ვაჟბატონი ამ გმირების სათავეში, შეუტეე ტარტაროზო, ამოკარი მაგრად ეშვი.

გიო.

„ბატკანი“

აქ სტატისტიკურ განყოფილებას ამშვენებს შაქრო ჭაჭიაშვილი, სტატისტიკოსი, ცნობილი სპეცი. ფულის ამწვანი — ყლაპია შვილი. ამჟამად იგი სტატისტიკური განყოფილების არს ინსტრუქტორი, სხვის სამუშაო ხელფასს ითვისებს და ყლაპს უშვებდა, თუ წაკრა ტორი.

ხესტაფონისკენ გაისეირნა, რომ ხელოვნები იქ აწვერა, რეგისტრატორთა ფულს უქნა ყლაპი, გახადა თავის მუცელს წერა. ამ ვაჟბატონის ფურად გადიქცა, მოსაწველ ფურად, ჩვენი სტატკანი, და ძველებურად აქ — ქუთაისში ისევ თარეშობს როგორც „ბატკანი“. ა — კი.

გვერდილი პერკი

ბერი წყეულ ფიქრს შემდეგ, უცებ განვიძრახე, ქუთაისის არგ-მარეს ნახვა... კიდევ ვნახე.

ქუთაისს, რომ მივალწიე, ბილეთი მაქვს მთელი.

კონდუქტორს რომ მივაკითხე, ჰქონდა ღვინის ფერი...

დილა იყო. საუზმისთვის, პოვამხადე ფული.

გზა ავიღე თეთრ ხიდისკენ (დღეა მხიარული).

აუარე გვერდი კერძო სასადილო დუქანებს, რომლებიც რომ ვიტრინებით კამელელოს თვალებს უქნევენ.

იემი ჯიბე და ნამუსი ქე სხვა ადგილს მიწვევენ. მურღულივით მივდექი სასადილოს წითელს.

მოვითხოვე პირველი და კიდევ ერთი კერძი.

(იმის შემდეგ მოჩვენებას ვეიშები, ვებრძვი).

შუშის ნატებს დაემშვენა, სიღრმე ჩემი თევზის.

(საოცარი ეს ამბავი, მოხდა მარტის თვეში).

ჭავჭავი ბზიკი.

ვახანა გოთხრობები

„ვეფხის-ტყაოსანი“

შუა-სურებში ელვის სისწრაფით გავარდა ხმა:

— „ვეფხის-ტყაოსანი“-ს ტარიელი გამოჩენილა.

თავ-სურებიდან მოაჭენებდა ცხენს. შუა-სურებში დაულეწია გლეხკომი და ხალხი გაულხახავს.

„ჭკრა ერთმანეთსა, დაჰხოცნა, თავის ხელ-აღლუპრობელად; ზოგსა ვარდაჭკრის მათრახი მკერდამდის გასაპოხელად“.

(„ვეფხის-ტყაოსანი“).

ამ დროს მოვარდენ თავსურებ-ლები და ამბობდნენ:

ლხინი გვქონდა და დაითრო, ავფიტხა ჩხუბი, ომი.

თუმც მივბეგვეთ, მაგრამ კიდევ გალახვის ვართ მისი მდომი.

როცა შუა-სურებში მიღეწილ-მიღეწილ გლეხკომის წინ ასეთი ლაპარაკი იყო, ბუკის-ციხეში:

ნახეს უცხო მოკმე ვინმე ცხენსა სცემდა მათრახითა.

იცნეს: მიხელ გურგენიძე დაბეგვილ თვის სახითა.

მივიდა მასთან პეტრე.

გამოჰკითხა ყველაფერი.

მიხეილმაც უამბო.

— კი, მაგრამ ცხენს რას ერჩოდი.

თუ უხაგირზე ღვედები დაგიწყდა?

— ჰკითხა პეტრემ.

— აბა ისე, ხომ არ ვიზამდი —

ცხენს ვერ შევწვდი და უხაგირის მა-გიერ ცხენს ვსცემე.

— ყოველდღე რომ ჩხუბობ და ხა-ლათს იხევე, სადა გაქვს ამდენი ხა-ლათები?

— ჩვენი კოოპერატივის გამგე კარგად შეაფდეს და, ეს არაფერია.

„გიორგი სიძე“

— კაპიტაც არ დავიკლებ, ათასი მანეთი ფულად და დანარჩენი — მზითევი. ჩემისანა სასიძო ჩვენს სო-ფელში სხვა არ არის: ვარ მასწავ-ლებელი, პარტიული და ყოველივე სიკეთე! — ასე ელაპარაკებოდა სოფ. ამოღლების მასწავლებელი გი-ორგი მაჭანკალს, რომელიც მას ურიგებდა გლეხის ქალს.

შეთანხმდნენ.

დანიშნეს ქორწინების დრო.

— აბა, დაფატურით და საცო-ლესათვის სადმე კონტრაბანდი კო-ვერკოტი მიშოვნეთ! — უთხრა გი-ორგიმ თავისიანებს.

ამაღლებას იქორწინეს

სადაც რომ საყდარი არი.

უამრავი ბატი დაჰკლეს

და ნიკორა (კალი ხარი.

— კარგი ყოფილა სოციალიზმი... ჩინთვის უკვე დამყარებულა? — ამბობს გიორგი და განაგრობს მას-წავლებლობას

„საწყალი მელა“

ლამეა.

სძინავს სოფ. ეწერს, (გურია).

მაგრამ არ სძინავს და შესაწვა-გოჭივით ტრიალებს ლოგინში კა-ლისტრატე მელიქაძე.

ფეხაკრეფით ადგა და თითის წვე-რებზე ოთახიდან გავიდა.

პოეტური ლამეა.

მთვარე ღრუბლებში სეირნობს და მიჰყვება კალისტრატე ორლო-ბეში.

კალისტრატე ჩახტა ერთ ეზოში, ერთხანს დაჩუმდა. შემდეგ სახლის იატაკის ქვეშ შეძვრა და...

საწყალი კალე ჩიოდა:

არ მომივიდა ძილია.

ქვრივ ლიდას სახლსა მივაგენ,

მსურდა გამეკრა კბილია.

ეს რომ გაიგო ლიდამ, ხელში ხანჯალი მოიმარჯვა, გარედ გამო-ვიდა და...

გარბოდა კალისტრატე,

ღობე-ყორეზე ხტოდა...

საცვლები დაესვარა,

შიშისგან მთელ დღეს თრთოდა.

მეორე დღეს კალისტრატეზე მთე-ლი ეწერი ლაპარაკობდა.

ხი-ლი.

განგანდილი ოინაგი

ჰიათურა

დარბაიძემა მდივანსა

ჩაუთამაშა თვალა:

— ჩვენი გაწმენდა, ძმობილო,

კორესპონდენტის ბრალია.

შენს ხელში „სული“ კენესოდა,

მეც კარგი მქონდა ბინაო;

ამ დამცირების ამტანი,

შენც ღმერთმა შეგარცხვინაო.

მოდო ვიფიქროთ ორივემ,

მოვნახოთ რამე გზებო;

ან-და უჩივლე მუშკორსა,

მე მოწმეთ დაგიდგებო.

უნდა შევითიხნოთ სიყალბე

მეტი არ არის ჩარაო;

დრო მოდის, ნულარ გვიანობ,

მოდო დასწერე ჩქარაო.

ბ. გო—ძე.

ველისციხე

ფლუბის დარბაზში შეკრებილა ხალხი დიდძალი მაგრამ ეს რაა, რომ კარები თითქოს იმტვრევა!?

ყველას გესტურს იქით, რომ მივაპყროთ სმენა და თვალი.

ნეტა ვინ არის—ხალხში შეაქვს არეც-დარეცა?

ცხადია, ალბად ვილაცა კახურით მთვრალი,

და ბუზათ უჩანს აქა მყოფნი კაცი თუ ქალი. ლანდელი.



— კაცო, ფული რომ გასესხე და დამპირდი — მა-ბათს მოგცემო, რას შვრები?

— როდის-ღა მოგცე, როცა საწარმოო კვირაზე გა-დასვლამ შაბათიც მოხბო და კვირაც!

საბჭოთაო

„დირექტორი“ ბოლოკაძე


რკ. გზ. გამგეობამ 130.000 მანათის შპალი დაამზადა, რომელიც კომისიამ სრულიათ უვარგისად ჩათვალა, რის გამოც ზემოაღნიშნული შეშათ მოიხმარეს.



ბოლოკაძეს, — „დირექტორსა“
ებრუტება თვალები:
„დირექტორმა“ დაამზადა
რკინის გზისთვის შპალები
„გამზადა“... მაგრამ საქმე
გახდა ხათბალადა, —
მისმა შპალმა

არ „იშპალა“,
არ გამოდგა შპალად.
ჩაიციხა „დირექტორ“
ჩუმად
ულვაშ ქვეშა და
სთქვა:
„სათბობი მასალაა:
გამოდგება შეშადა“.

„პრაგულუზიკები“



თუ ერთობაა მართლაც ერთობა,
უნდა იყოს!.. აბა რას გავს ასეთი
საქციელი: მოაჯდება ქეჩოზე საწყალ
ავტომობილს, ქეიფ-უნცის ბიჭი, —
შოფერი და მიაჭენებს უგზო-
უკვლოდ. მიაჭენებს სანამდინაც და
რა დრომდე უნდა! არ ფიქრობს
ავტომობილის დასვენებაზე!... თვითონ
შეაჩერებს, როგორც სადმე
რესტორანს დინახავს და „გადახუ-
ხავს“ მამა-პაპურად, „იუდას ცრემ-
ლებს“, — ავტომობილი კი, ავღია
საცოდავად, გარეთ — ტალახში, და-
ქანცული და მშიერ - მწყურვალი.
მაგრამ ასე არ ხდება ყველგან.
ტრანსპორტზე მომღმსავეთა კედ-
გახეთის ერთ - ერთ თანამშრომელს

შემოუტანია ავტომობილების სოც.
შეჯიბრებაში გამარჯვების მიზნით,
ასეთი წინადადება:

„აუცილებლად უნდა შემოვიღოთ
ავტომობილების განუწყვეტელი
მოძრაობა!... უნდა აღმოიფხვრას ავ-
ტომობილების შეყვანა გარაჟში სა-
უზმის ასკმელად და ჩაის დასალე-
ვად“!

სალი

ამხანაგ სალის წინადადება ნათ-
ლად ადასტურებს, რომ ზოგიერთ
ადგილებზე ავტომობილების მღვო-
მარეობა არც ისე უნუგეშოა. პირა-
ქეთ, შოფერებმა იციან, რომ ავტო-
მობილებიც „ხალხია“ და ისინიც
ცოცხალი ადამიანებით იკმაყოფი-
ლებენ თავიანთ მოთხოვნილებებს:
ჯერ ისინი შედიან გარაჟში „საუზ-
მის“ საჭმელად. მიირთმევენ ოსმა-
ლურ ყავას, ერობო - კვერცხს, ტკბილ
ნამცხვარს და ცხელ-ცხელ კატლე-
ტებს. შემდეგ გამოდიან ეზოში; ქა-
ჩავენ რეკორდის პაპიროსს: შედიან
საპირფარეოში; იქიდან მიდიან
ღვინის სარდაფში; ქაჩავენ კახურს
და აბოლებენ ისევ პაპიროსს... ერ-
თი სიტყვით „პრაგულჩიკები“ არიან
ჩაღა!

ფიცი-მტკიცი

ამ კაცს რკ. გზის სამმართვე-
ლოში ბევრია უცხო ელემენტი,
რომელსაც ჩვენი წარმოების გან-
ვითარებასთან და სოციალისტურ
მშენებლობასთან არაფერი სა-
ერთო არა აქვთ.

ამხ. პოლდევის მოხსენებიდან



ამიერ - კავკასიის რკინის გზის
სამმართველოში მოკალათებულმა
ყოფილმა ხალხმა, როგორც გადმო-
გვიქმენ, ასეთი ფიცით მიმართეს
გამწმენდ კომისიას:

„სახელითა, კუქისათა, ყლოურწი-
სათა და წმინდისა ყლოურჭვისათა
ჩვენ, გვაძნი ყოფილნი, მსახურნი
ერთგულნი ხელმწიფისა ნიკოსანი,

უანდარმერიისა, — ახრანკისა და
ყოველთა შემფარველთა მისისანი,
ვიძღვეთ ამა აღთქმას ფიცით, წი-
ნაშე გამწმენდელსა კომისიისა რკი-
ნის გზისა სამმართველოსა:

განვიფხვებით ამიერიდან სატა-
ნისა მის ბიუროკრატიზმისაგან;
წარვხოცავთ ერთგულებას ბუნები-
საგან ჩვენისა წყობილებისა მის წმი-
ნდისა და ნეტარ მოსაგონარისა საყ-
ვარელისა ხელმწიფისა ჩვენისა ნი-
კოსა; განვადებთ ბუნებასა ექსპ-
ლოატატორულსა გრძობათაგან ჩვე-
ნისა; აღმოვფხვრით სიყვარულსა
მის კაპიტალისტურ წესწყობილებისა
ყოლისაგან ჩვენისა და შევიყვარებთ
წყობილებას მას სოციალისტურსა
სულითა და გულითა უმანკოთა
ჩვენითა; და შევეზღებთ სოცია-
ლიზმსა მას, ცოლითა ჩვენითა, შეი-
ლებითა ჩვენითა, სიდედრითა ჩვენი-
თა, სიმამრითა ჩვენითა, ცოლის დე-
ბითა ჩვენითა, ბებიებითა ჩვენითა,
მომნათელელთა, მონათლულთა,
მძახლებთა და ყოვლითა ძროხის
მოზიარეებითა ჩვენითა“ ამოთ, ვი-
თარჯა მარილი იგი ზურგიელსა
მდებარესა ტრაპეზსა ზედან წმინდი-
სა მის მიტროპოლიტისა ტიხონი-
სა“.

ფიცის მოცემა მოხდა საჯაროთ:
— რკინისგზელთა კლუბში.

მათმა გამოსვლამ „სადღესასწაუ-
ლო ეოფერი მიიღო.

— ნეტარ იყვნეს ქვეყანასა კლა-
სიურსა ზედა მშვიდობა და მაგნებე-
ლთა მიმართ სოცწარმოებისათა სა-
თნობა, ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-ა-
ჩაუზღერეს მათ ეფექტის გასაძლიე-
რებლად რკინის გზის გამგეობის
ზოგიერთმა წევრებმა

როგორ ჩაუზღერეს „შეფიცუ-
ლებს“ გამწმენდი კომისია?!




— სად მივაქვს ამხანაგო ეგ ძვირ-
ფასი ქანდაკება?

— გამგეობაში, კაბინეტის მოსარ-
თავად.

— კაბინეტში განა ლუსტრა არ
იყო?

— შიშველი ქალი იყო, — კონტრ-
რევოლიუციონური: აღარ მოსწონთ:

— მოდიდან არის გამოსულიო!...



ნო.მარკი: — დიდი ხნის დაკლულია ეს ბატები, აუროლდა, რა მოვუხერხოთ, არავინ ყიდულობს?!
გამზამ: — ღარდიც ნუ გაქვს, ჩვენი სასადილოები გა ასაღებენ!

ჩემი თავგადასავალი

ბუკის ცინმა, გურია

ვერაფერს მოგახსენებთ ამაზე, თუ როგორ დავიბადე, მხოლოდ ვიცი, რომ დავიბადე. მახსოვს ვსწავლობდი და სკოლიდან გამომრიცხეს. ერთხანს კომკავშირში ვიყავი, მაგრამ გამომრიცხეს... უკაცრავად, ჩემით დავანებე თავი. ბავშობიდანვე მიყვარდა კოოპერაცია და როგორც ასეთი დღესაც კოოპერატივში ვმსახურებ. კარგი საქმეა. მე ძალიან მიყვარს კოოპერატივი. ფულის საქმეა... უფულო კაცი ბურის ჭამაშიაც ბრალია. ჯავაგირი ბარაქიანია. დღეში ორი მანეთიც არა მაქვს, მარა ყოველდღე ხუთ მანეთს ვხარჯავ გლენკომის სასადილოში. არ იფიქროთ, რომ ყოველ დღე ხუთი მანეთის საქმელს ვჭამდე, არა, ამდენს რომ ვჭამდე დავიმსებოდი. ხუთი მანეთისას ვსვამთ. მარტო მე კი არ ვსვამ, არა, მე არც იმდენი მსმელი ვარ. დღეში მეყოფა სულ ორი-სამი ჩეთეფერი ღვინო. ღვინო კი არ მათრობს, არამედ „მარ-

თობს“ (სოფელში მეტი არაფერი გასართობი არ არის). ღვინო რომ არ ყოფილიყო, ცხოვრება არ ეღირებოდა. ჩავიჩინებ გლენებს: მოაშენეთ ვენახი და მეც ჩავეწერები კოლექტივში— თქვა, მარა არ მიჯერებენ,—ჩაიუნდა გავაშენოთ... რათ მიხდა ჩაი; ჩაი ავადმყოფს უნდა, თვარა რა ჩემი საქმეა. ამდენ ლაპარაკში დამავიწყდა, რომ მე მქვია სახელად დავით. ეს სახელი სწორედ ჩემზეა გამოჭრილი. საქმე სულ „დავით“ (ჩხუბით) გამაქვს, თორემ რას მიახედენ გლენებს, რომ „რასაცა შესკამ შენია, რაც არა დაკარგულია“... გვარიც კარგი მაქვს— „სიხარულიძე“, ანუ სიხარულის შემკვიდრე (თუ არ ჩამწარდა). ასე ვატარებ წუთისოფელს უღარდელად. ფული არ მაკლია და ქონება. გლენები კი საყვედურობენ, მარა რას დამაკლებენ!

„კოტი“.

მომარაგება (ს. ცაიში)



- ამხანაგო, ერთი ბოთლი ღვინო მომეცი.
- არა გვაქვს.
- აბა რა არის ამდენი ბოთლები?
- ეს ყველა აღმასკომის თავმჯდომარესათვის არის შემონახული!

სიხარულით ცას ვეწიე,
რომ დაარსდა უაქტები;
გავიფიქრე: ბნელ სარდაფში
მგონი აღარ ჩავკდები.
ამირჩიეს რწმუნებულად,
უაქტაქტივში ჩამაბეს.
კომისიებს მიმამაგრეს
და საქმეში გამაბეს.
გამგეობამ სიტყვა მომცა,
ოთახს მომეწა მალეო,
ვსთქვი: მეღირსა მზის სხივები,
უაქტს კი ვენაცვალეო.
მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა
გამგეობის დავთარში,
რადგან ბინა არვინ მომცა,
ისევ ვდგევარ სარდაფში.
ოთხი წელი შემისრულდა
რაც ვარ უაქტის წევრია,
ოთახს მაინც ვერ ველირსე,
თუმც დაბპირდენ ბევრია.

უზინაჰი.



ხა-ლის (ერწო): ქობ-სამკითხველოს გამგე ქალი-შვილზე სწერთ, რომ:

ზარმაცობს, თაღლითს აკეთებს
გამოიტანოს ფულები
შვებულებაში დადის და
ასაწევი აქვს უურები.

უურების აწევა აღმასკომს უფრო მოუხდება, რომ სამკითხველოს არავითარ უურადღებას აქცევს.

პილპილაძეს (ქვედა-საზანო, ქუთ. ოლქი): რაკი ადგილობრივად ადვილი გამოსაცნობია თქვენი ამოცანა, აქვე მოთავსებულ სტრიქონებითაც მიხვდებიან თუ „ვინ არის“.

შალვა თორთლაძის ამხანაგია,
ერთად იღებდენ ორივე ქრთამებს.
დღეს მოგვევლინა ბატონ-პატრონად
და მას ძველ ცოდვებს აწ ვინ დასწამებს:

ბარემ სახელიც დეუმატოთ — გრიგოლი, — და ყველა ადვილად მიხვდება ვინც ბრძანდება ეს ვაუბატონი.

ჩინჩილა (ს. ხაშში, გარე-კახეთი). ვათავსებთ კ. ინა შვილის და ჯანიაშვილის სასიძღვრო კუბლეტს:

ვისაც რა უნდა, ისა სთქვას,
სულ სხვაა ჩვენი ტრფიალი:
გვიყვარს ლანძღვა და გინება
და ხელში კვარტის ტრიალი.

სვიმონ ქოქარაშვილს სიხარულისაგან სიცილი ნუ წასქდება, თითქოს ის გადარჩა და არ მოჰყვა „ტარტაროზის“ ბაღეში. ამ კუბლეტს ისიც კარგად მღერის. როცა სუფრას უზის სამუშაო საათებში.

ლემოს (ქუთაისი) თქვენი წერილიც ექსკურსიაში გამეგზავრა უფსკერო გოდორისკენ.

„ონის“ (მარტვილი). საჭიროა ავტორის სრული ვინაობა მაგრამ მიუხედავად ამისა, არ გაზარალებთ ამ საქმის შესახებ ანდენ შრომას და მოვითავსებთ, რომ:

კლესკომის სახადილო
აღარ არის სასაცილო, —
რადგან არის სატირალი
შიგ სუყველა არის მთვრალი.

სხვა ამბები უფრო დაამუშავეთ და მოგვაწოდეთ. სტრიქონები უფრო დაშორებით დასწერეთ. მასალა შეამოკლოთ.

ბაბოს (სიღნაღი): საკვირველი გამგე გყოლიათ 10 წლედში, თუ:

ადეიშვილს არ ჰყოფნის ერთი კაბინეტი. ამიტომ მან თავისი მეორე კაბინეტი გახსნა ფენისადგილის ერთ-ერთ განყოფილებაში. დაადვა ზედ დიდი ბოქლოში და წააწერა: „მხოლოდ გამგისათვის“.

რას ერჩით, მუყაითი გამგე გყოლიათ...

გადამწყვებ (ხიდისთავი, გურია): თქვენი გამოცანა ასეთია:

ენლა „დიდი კაცია“.
ხელში ბაორთფელს ატარებს.
უწინდელი ვაჭარი
თავს არავის ადარებს.


ეს ისეთი ადვილი გამოცანაა, რომ ყველა მიხვდება — ეს არის თეიმურაზ ნაცვალაძე.

უზრცპვიტინას (სოფ. ისუნდერი, ქუთ. ოლქი): ალბად დავითის თავისი სიმღერა ენლა ველარ გამხნია-რულებს.

ტარტაროზო, რომ გენახა
ეს დავითი მთვრალი კლასში,
მოწაფეებს ბრაზისაგან
ყველას სცემდა მუშტებს თავში.

სწორედ თქვენს მასწავლებელ დავითზე ყოფილა თქმული: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი დავითაო“.

თვითკრიტიკა და გამგე



— თუ გეყვარება ნაცნობი, მიუგზავნე ჩვენს გამგეს, საქმის-მწარმოებელის ადგილია თავისუფალი!
— როგორ თუ თავისუფალია, როცა საქმის-მწარმოებელი მაგიდას უზის და მუშაობს?
— ესეა კრებაზე ადმინისტრაციის წინააღმდეგ ილაპარაკა, და, გათავებულია მისი საქმე — მოხსნიან!